4.3 სარგებლობის საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების წესით (საბანკო დაწესებულების მეშვეობით) ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების შედგენით;

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 12 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 ნოემრბამდე

5.2 ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტილად ითვლება, თუ:

5.2.1 მოხდება ხელშეკრულების მოშლა;

5.2.2 გავიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

5.2.3 მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

5.3 ხელშეკრულების მოშლა:

5.3.1 ქონების გამცემს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ მოსარგებლე ქონების გამცემის წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, უძრავ ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

5.3.2 ქონების გამცემი უფლებამოსილია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ მოსარგებლე სარგებლობის საფასურს არ გადაიხდის ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ პირობებისა და ოდენობის შესაბამისად;

მუხლი 6. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეები თანხმდებიან პირგასამტეხლოს გადახდაზე, რომელიც განისაზღვრება ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

6.2 ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, კერძოდ: დადგენილ ვადებში შესაბამისი თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში მოსარგებლეს დაეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობის თანხა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

6.3 მხრეები ვალდებულები არიან ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი, რომელიც უშუალოდ მიადგა ხელშეკრულების მხარეს აუნაზღაუროს კრედიტორს;

6.4 თუ მოსარგებლე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს აღებულ ქონებას, მაშინ ქონების გამცემს შეუძლია მოითხოვოს დათქმული სარგებლობის საფასურის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; ქონების გამცემს შეუძლია მოითხოვოს სხვა ზიანის ანაზღაურებაც;

მუხლი 7. დავა

7.1 მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა პირველად უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან სადავო საკითხებზე დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2 მხარეებს უფლება აქვთ დავის გადასაწყვეტად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართონ სასამართლოს;

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია განხორციელდეს ამ ხელშეკრულების პიროებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ წერილობითი ფორმით;

8.2 გარემოებათა არსებითად შეცვლისას, რაც ზიანს აყენებს მხარეს ან საზოგადოებრივ ინტერესს, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოთხოვოს თანხმობა ხელშეკრულების (როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების) შესაცვლელად;

8.3 თუ ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილება არსებითად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება;

8.4 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეიძლება შემცირდეს სარგებლობის საფასური - ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება;

8.5 ხელშეკრულება დადებულია 2 იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ქონების გამცემთან, მეორე მოსარგებლესთან.

ქონების გამცემი	მოსარგებლე
ს.ს.ი.პ "ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (ს/კ 203827573)	ს.ს.ი.პ "თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატური თეატრის" (ს/კ 206047286)
რეკვიზიტები: მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება_ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი TRESGE22 სახაზინო კოდი: 7 0822 7176 (დარბაზის ერთჯერადი იჯარა)	
თეატრის დირექტორი – ნიკოლოზ სვენტიცკი	სამხატვრო ხელმძღვანელი არმენაკ ბაიანდურიანი
ხელმოწერა:	ხელმოწერა: